

კვირა, 20 მარტი 1916 წ. **№12** — 10 კ.


წელიწადი
მ ე ო თ ხ ე

მიიღება ხელს მოწმარა 1916 წ. შპრ.
"თეატრი და ცხოვრება"
წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-4 გვ.)

ქართ. დრამ. საზოგ. სასარგებლოდ საღაპო
გაიმართება დღეს, 20 მარტს, „ახალი კოლეჯის“ დარბაზში. იხ. მე-2 გვ.



არჩილ ჯორჯაძე
გარდაცვალებიდან სამი წლის შესრულების გამო
(† 21 მარტს 1918 წ.)



მის. კავსაძის გუნდი.

ახალი კლუბი

კვირას, 20 მარტს

ქართ. ღრბ. საზოგადოების გაშვება

თავის ნიუთიურ მდგომარეობის გასაუმჯობეს. გამართავს

საღამოს

შემდეგის პროგრამით:

1 რაც გინახავს—ველარ ნახავ
ორველი მოკმ. ქ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით

2 რუსული მინიატურა

ქ. ვასილჩიკოვას მონაწილეობით

3 ქორეოგრაფიული გან-
ყოფილება—ბალეტი

4 საკონცერტო განყოფ.
რუსულ ოპერის საუკეთესო ძალითა მონაწილ.

ქ-ბ-ს-რ-ი

მონაწილენი: გრ. რობაქიძე, ალ. ყანჩელი, ბ. გოგიაშვილი, ლევ. პიშნოვი, მ. კიაურელი და სხვ.
ქართული და ფეროპ. ცეკვა, კიოსკები, ფოსტა, პტი-შეო, შამპანიური, ყვავილები, კონფეტი და სხ.

3 ჯილდო საუკეთესო ეროვნულ ტანისამოსისთვის

დასაწყისი საღ. 9 ს.

საღამოს დიასახლისი გნ. ვერა იაგ. ერისთავისა.



წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“ სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ სტამბის კანტარაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифლის, Ред. „Театри да Цховრება“ I. Имедашвили

ქართული ფილარმონიული საზოგადოება და ჩვენ

თბილისში არსებობს ქართული ფილარმონიული საზოგადოება. ხუმრობას საქმე ნუ გვინათ—ქართული ფილარმონიული საზოგადოება! რა ადგილი უკავია მას ჩვენს ცხოვრებაში ან რა ურთაბრუნებით ვექცევით ჩვენ მას?

ჩვენ უგადარეულნი ვართ ქართულ თეატრზე (რამდენადაც კი უნდა გვაქვს უგადარევისა), ქართული ფილარმონიული საზოგადოების „ხუმრები“ არსებობს კი არავის ძილს ან უფროსებს!

რა არის ამის მიზეზი? ჯერ ერთი ის, რომ ჩვენი ძილის დაფრთხობა არც ისე ადვილი საქმეა; მეორე ის, რომ, თუმცა უგეჯანი გავკვირებით— „ჭია, ქართული მუსიკა, ჭია ხელფანები, ჭია ეს, ჭია ის“,—მაგრამ ნურც ისე ძალიან დაფრთხვებით ჩვენს თავს: უგეჯა ეს „ჭია-ჭუი“ მართლაც გოჭის სიღრმიდან ამოდის... მესამე ის, რომ ჩვენ თითქმის დაკვირვებულნი ვართ ჩვენი მუსიკალური ხელფანების განვითარებით: გუგუანან „თითქმის“ კომპოზიტორები, „თითქმის“ მამულელები, „თითქმის“ დამკვრელები; კონცერტზე გვესმის თარი, ჭიანური; ქართულ მამულელებს გუნდებიც ქუდაჯებში,—რა ვუყოთ, რომ ამ 30 წლის განმავლობაში არავითარი წინსვლა არაა არც ერთი... აი, ესეა კიდევ ბრძანებისა ვინაშნაუთ ჩონგურის დამკვრელებისთვის და ვითომ რა გვიჭირს,—ვისზე რა ნაკლები ბიჭები ვართ!..

სული გეშხამება, როცა თვალს გადახედავ ჩვენს ასეთ უბედურებას!..

ჩემი აზრით, ქართული აღმშენებლის ბუნებას არც ერთ დარგში არ წარმოუშვია ისეთი მშვენიერება, როგორც სიმღერა-გალობაში, და გაცილებული შეგნებრი ამ დიდებულ ხატებას!

მაგრამ რა! დღესაც ჩვენი ბუნებიდან ამოღებული ეს ძვირფასი განძი ისევე იმ ზირველ-უფთელი სახით გვიჭირავს ხელში და ვერ მოგვიხერხება მის საზოგადო მხარხულობათა გამოხატვას!.. გავიყინეთ ერთ წერტილზე,—დარ არის სასოება! რაღაც უბედურ დღეს წამოვადო ჩვენი მუსიკა და ფარსხალებს ერთ ლაგას!..

საინტერესოა ის მოვლენა, რომ ჩვენი მუსიკის ეს უცნაური მდგომარეობა არავის შესაფერის ურთაბრუნებს არ იბერობს. საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი სიმღერა-გალობის მცოდნენი, სულ ცოტადენი გამოხატვისით, მეტად კმაყოფილნი არიან ჩვენი მუსიკის აწინდელი მდგომარეობით და შედავითინს დაუსრულებელს „ი-ა-ი-ა“-ს თუ ვინმე გადაუხვია, მზად არიან ქრისტე-დამკრთი ძილს ჩამოიღონ! როდესაც ზირველად სცადეს ოთხ-ხმავანი ქართული გალობა, ქართული გალობის „მართლ-მარწმუნენი“ ისეთი ზათქითა და ზეიმით ამხედრდენ, გიგონებოდან საქართველს მტერი შემოგვივია! „ქართული გალობა მხოლოდ სამ ხმად შეიძლება! შეირყვნა ქართული გალობა!“

ამ სამიოდე წლის წინად განსვენებულ აკაკისთან მქონდა საუბარი ქართულ სიმღერა-გალობაზე; მთელი საათი ვუმტკიცებდი სხვა და სხვა მაგალითით ვერცხიულ მუსიკიდან და

ძლივს შეუერთე რწმენა, რომ ქართულ ეროვნულ სიმიღერა-გალობას არავითარი ხიფათი არ მოეღის, თუ მას ნამდვილი მუსიკოსის ხელი შეეხება. ასეთივე ბასი მომისდა ამ ცოტა ხანში ერთ განათლებულ ქართველთან, რომელმაც მშვენივრად იცის ქართული გალობა.

ერთი სიტყვით, ქართული მუსიკა განიცდის მზეთუნახავის ბედს, რომელსაც დაჩაფხად სასტიკი ეჭვინი ჰატრინი ადგას თავს.

შორს რად წავიდეთ: შარშან თუ შარშანწინ ქართულმა ფილანთონიულმა საზოგადოებამ ჩვეულებრივი დილა გამართა; ამ ჩვეულებრივ დილას, რასაკვირველია, ჩვეულებრივი რეცენსიები მოჰყვა. ერთი მათგანი ზედმიწევნით ასეთი იყო: მუსიკალურმა დილამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, მხოლოდ არსად იყო ქართული ეროვნული მუსიკა.

რას ნიშნავს ეს უარსად იყო ქართული ეროვნული მუსიკა? — ვერ მივხვდი მაშინ და დღემდისაც ამ სავუდურის აზრი ჩემთვის გაუგებარია!

მუსიკალურ სასწავლებლებში ასწავლიან საცაბერო სიმღერას, სხვა და სხვა საკრავებზე დაკვრას (არა ჭიანურსა და ჩინგურზე), თეორიას და სხ. ამ მიზნითვის ევროპეულ მუსიკოსებისგან შემუშავებულია მუსიკალური ლიტერატურა, — საგანგებოები, პიესები — და რას მოელოდა ბ. რეცენზენტი ქართული მუსიკალური ლიტერატურიდან, რომელიც არ არსებობს?!

საიდან წარმოსდგება ქართული ინტელიგენციის ეს უცნაური შეხედულება ქართულ მუსიკაზე? ფთხვ ნუ იწვევენ, — ამის მიზეზად შევთვლი იმას, რომ ქართველებს ჯერ ნამდვილი ინტელიგენცია არა გვყავს... ესრედ წოდებული, განათლებული — გვეყვანან, მეტრიკების რომელიმე დარგის მცოდნენი — გვეყვანან, მაგრამ ფართე მსოფლმხედველობით განვითარებული ინტელიგენცია ჯერ არა გვეყავს. ჩვენს ინტელიგენციას არა აქვს ჯერ შემუშავებული მთლიანი მსოფლმხედველობა და ამისათვის მის აზროვნებას უფრო ნაბიჯზე ცადმხროვობა ეტყობა; ჩვენი ინტელიგენციის აზროვნება უჭრა-უჭრად არის დაუყოფილი და ამ უჭრებს ერთმანეთში კავშირი არა აქვთ, მაშასადამე მოკლებულია სინტეზის საშუალებას: ერთ უჭრაში ღამაზი ხავერდი დგის, მეორეში დამტკნარი კარტოფილი.

სამასწროვრად დამჩხა ასეთი შემთხვევა: ერთი ქართველის ინტელიგენტის ჰატრან ქაღმა შესამხნევი ნიჭი გამოიჩინა მუსიკოსის და მშობლებიც ხელს უწყობდენ მის განვითარებას. ერთხელ ამ ოჯახში ვიყავ. ვსხედვართ, ვღამაზაკობთ... მეორე ოთახში რთაღსე ვარჯიშობდა ჰატრან ქაღი და ისე კარვად უკრავდა, რომ ჩემი გულისყური იქით იყო. შემთვინა ნანტობი ქართველი ერთი ინტელიგენტი — „ნამდვილი“ ინტელიგენტი — „ჰატენტინია“ .. მიუგოდა ყური: — ეს რა არის? — ჩემი ქაღი უკრავს, უზასუსა მასშინძელმა. არავითარი ყურადღება არ მიიპყრო ნიჭიერმა ბავშვმა, — „ჰატენტინიამ“ მხოლოდ დამთქნარა და უამეხად ჰკითხა: „მიეზურნედ ამხადებო?“

განა ცხადი არ არის, რომ ამ ინტელიგენტს „სამუსიკო უჭრაში“ დამტკნარი კარტოფილი ედო?! საუბედუროდ ეს ინტელიგენტი გამოჩანკლისად არ ჩათვლება ჩვენს ცხოვრებაში.

რაც შეეხება ჩვენი ძველებური სიმღერა-გალობის მცოდნეთ, რომელნიც აღმაცრად უყურებენ ყოველს ახალს ჩვენს მუსიკაში, ეს ჩემთვის ცხადია: კარდა გაზებინებული სიმღერა-გალობის მათ არავითარი მუსიკალური ცოდნა-განვითარება არა აქვთ და მეტიც არ მოეთხროვბათ. კარდა ამისა, ჩვენი ძველებური სიმღერა-გალობის მცოდნეთ საზოგადოებრივი ყურადღების მონაზოლია ჰქონდათ ალებული (დამისასურეს კიდევ) და ყოველი ახალი ინტერესი ჩვენს მუსიკაში ამ მონაზოლიის მეტოქედ გამოადის. მე თითონ მიმიძის ამის აღნიშვნა, მაგრამ საუბედუროდ, მეჩინა, არა ვცდები!.. სად არიან ჩვენი სიმღერა-გალობის მცოდნენი, — დასტრიალებენ სიყვარულით ფილანთონიულ საზოგადოებას? არა! უწყობენ ხელს, რთაც კი შეუძლიანთ? არა! პირიქით: რამდენადც კარგებული მაქვს, მტრობა და განხეთქილება სუფევს მათ შორის!.. ვველას უნდა „თითონ“ იყოს, ვველას უნდა თავისი შკოლა შექქმნას, ნამდვილი შკოლა კი მიგლებულია რთოდე კაცის ანაზრად!.. ყოველი დამიანის პირადი ინიციატივა და სქმინობა სჩებურია, მაგრამ არ უნდა დავიფიწოთ, რომ დიდი რამის გაკეთება შეუძლიან მხოლოდ კარვად დაყენებულს მუსიკალურ სასწავლებელს და ჩვენი უმთავრესი ყურადღებაც სწორედ აქეთ-

კენ უნდა იყოს მიბურთობილი! უამისოდ ნახევარ საუკუნის შემდეგაც ისევე ის ქულაჯებში გამიწეობილი „ჭანალო-თარალო“ იქნება, რაც არის ეხლა, რაც იყო ნახევარ საუკუნის წინ!.. ჩვენც კი მოგვწინდა ეს გაქვავებული ერთი და იგივეობა და უცხოელები ხომ მხოლოდ ეთნოგრაფიული ინტერესით გვისმენენ. ქულაჯა უმოძრაობის ემბლემად გადაიქცა და მისი დანახვა რაღაც უიმედობას წბადავს გულში!

სასოფლოებამ უნდა მიაქციოს ყურადღება— დაიბეჭდოს ნოტიო კუნჭულში მიგდებული ფილანტოპიური სასოფლოებანი: იქ არის ჩვენი მუსიკალური აღმშენებლის იმედი; დანაშაულს „ჭანალო-თარალო“ მხოლოდ იქ შეუძლიან იქცეს ისეთ რადიკალურ, რომ გააფრთხილოთ მთელი ქვეყნიერება...

ნ. ყოყაბერი



არჩილ ჯორჯაძე
გარდაცვალებიდან 3 წ.
შესრულების გამო († 21
მარტს 1913 წ.)



დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი
ს. ჭანტური შვილი
სამხედრო სამსახურში
გაიწვიეს

მოსე წინასწარმეტყველი

(არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას)

მწუხარე იყო მოსე და ნაღვლიანი. სევდის ბეჭედი მის შუბლს ღრმა ნაოჭობად დაბნეოდა და შავ ფიქრთ თავი მისი მიწად დახარათ მიძიმედა.

არაფერი ახარებდა მოსეს. მისთვის ამაო იყო სიმდიდრე ფარაოს სასახლისა. მას, ყრმას — ვერ ხიბლავდნენ ვნებიანი ტურფა მხევალინი... ყოველი აღერსი და სიამე, რომლებიც უხვად იყვნენ განბნეულნი აღმზრდელი მეფის ოჯახში, არ ეკარებოდნენ, მხიარულებას არ იწვევდნენ ყრმა მოსეს გულში. არა, მოსეს გონება სხვა რამეს დაეჭირა. მისი ფიქრნი სხვას დასტრიალებდნენ, სხვას ევლებოდნენ

თავს და ეს სხვა იყო ერი, მშობელი ერი, რომლის საბედისწერო ვინაობა უკვე გაეცნო მოსეს. კენესოდა იგი ერი მონობის მიძიმე უღელს ქვეშ და ეს კენესა აღუღებულ ტყვიად ეწვეთებოდა მოსეს ტვინს. მონის ზურგზე ტყლაშუნით ეშვებოდა ბატონის წნელი, ნემსებიანი მათრახები ხორცის ნაფლეთებს აბნევდნენ ჰაერში, სკდებოდა კანი და ალის ფერად ღებავდა კონკებს, რომლებშიც გამოხვეულიყო ბედკრული მონა-ებრაელი. დაღურჯებული, დაკორძებული ხელფეხი — აუტანელ მდგომარეობაზე ლაპარაკობდნენ. ჩაცვივნილი თვალები, გამხდარი, გაყვითლებული სახე შებრალებას და შევლას ითხოვდნენ, ეს იყო რომ არ ასვენებდა ფარაოს აღზრდილს. ეს იყო რომ ანაღვლებდა მოსეს. ნაღველი უფრო იზრდებოდა, უფრო აუტანელი ხდებოდა, როდესაც იგი მშობელი ხალხის დიდების შარავანდელით მოცულ წარსულს გაისვენებდა.

— „აი, ერი— ერთ ღროს ძლიერი და ამალღებული!..— აი ხალხი— არჩეული ღვთისაგან, მასთან მოლაპარაკე და მისი აღთქმის შემნახველი!..“

— ერო მშობელო! ვინ შეგახსნა ბქე პირველობისა?..

— რამ დაგაძაბუნა, რამ დავაბეჩავა ეგრე? ერო დაჩაგრულო, ერო უბედურო, ვინ, ვინ აღგიჩნდეს მომხმარედ, აღმოძყვანელად, დამცირებისა და მონობის საფლავისაგან?!. სანამდი ეგრე?! შეუძლებელია!..

სიმწარით იტყოდა მოსე და ცრემლები მოადგებოდა თვალებზე.

ოჰ, იცოდა, კარვად იცოდა მან, რომ ისრაელს შეველა სჭირდებოდა, ხოლო ვერ მიმხვდარიყო საითკენ ეძებნა გზა ხ'ნისა.

... ახლა მარტოა მოსე, მან ვერ აიტანა ტანჯვა-ვაება, წვალემა და დამცირება, რომლებითაც ასაჩუქრებდნენ ეგვიპტელები ებრაელთა. მოსემ უარყო ფუფუნებით ცხოვრება საკუთარი აღმზრდელს მეფის სასახლეში. ის მწყემსია. „მწყისს ცხვართა იოთორისათა სიამარისა თვისისა მღვდლისა მადიამელთასა“. მიუშვებს მოსე იალაღზე ფარას, თვითონ კი

მიჯდება ნახორის მთის მაცხოვრებელში და მიეცემა თავის საყვარელ ფიქრებს მშობელ ერზე, მის აუტანელ, მწვავე მდგომარეობაზე. ოცნებას ფრთებს შლის. გონების თვალწინ ეხატება სხვა და სხვა თვალთწარმტაცი სურათები მომავლისა: „ვნახოთ მოველინა ებრაელთ მხსნელი... დაიმსხვრა ბორკილები მონობის, შეშრა თვალზე ცრემლი, წაიშალა ხსენება ტანჯვა-დამცირებისა... ებრაელი დაემკვიდრა საკუთარ ქვეყანაში, აყვავდა, გამშვენიერდა, განათლდა ცხოვრება დაბეჩავებულთა... სიმღერა და მხიარულება ყველგან... თავისუფლება“!.. მერმე: „ებრაელებმა გაიხსენეს ძველი სჯული, აღათი... აღაშენეს სამსხვერპლონი, აღანთეს ლამპარი ჩამქრალ სარწმუნოებისა... ღმერთმა მოავლო წყალობის თვალი, გადმოხედა არჩეულ ერს, მოუვლინა წინამძღოლნი და მმართველნი ისააკის, აბრაამის, იაკობისა და იოსების მსგავსი. გაძლიერდა ებრაელი, აფეთქდა საამოდ სიცოცხლე!.. თავისუფლება!.. მერმე... მერმე?“ გატაცებით ეკითხება თავის თავს ფიქრებში გართული მწყემსი. სულ დაავიწყდა ყველაფერი... სპეტაკმან, მოლივლივე ოცნების ტალღათ გაუგრილეს შუბლი მოსეს, შეუღმსუბუქეს სევდა, დაუამეს სულის იარები... ნათელი რამ ბრწყინვალე სვეტად ჩაეშო მთელ არსებაში! არა-ჩვეულება სულის კვეთებამ შეიპყრო რაღაც საღმრთო ძრწოლამ და შიშმა მოიცვა მოსე.. უსმენს იგი გარინდებული, უძრავად ქმნილი ზეციურს ხმას საამოს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი! მე ვარ თავისუფლება, ხსნა და მშველი შენის ერისა! წარახადე ხამლი ფერხთა და ისე მომიახლოვდი... ხილვით ვიხილე ძვირის ერისა, რომელი არს ეგვიპეტსა და ღალატება მისი, რამეთუ ვიცი ქირი იგი მათი და გარდამოვხედ განჩინებათ მათთა ხელთაგან ეგვიპტელთაგან. და შეყვანებათ ადგილსა ფრიათ კეთილსა... შეგიძლია წინა უძლოდ მე ასე?..“

შეწყდა ხმა... გრძობების შეკრება ველარ მოასწრო მოსემ. მიწად განერთხო იგი და ათრთოლებულმა წამოიძახა: „ჩემს გულს ზვარაკად შევწირავ და სულის კანდელად დავანთებ იმის ტაძარში“...

მაშ ალექსის ქვეყნისკენ!!!

მიუძღვის მოსე მშობელს ხალხს, უკვე თავისუფალს და ბედნიერს—მიუძღვის „ფრიალ კეთილ ადგილისკენ“. იგი ლაღია ეხლა, ვით არწივი მთებისა და უშიშარი ვით რისხვა ღვთისა.

მას ღმერთი იელოვა სწყალობს!.. მოსეს ვერ აშინებს ვერც ურიცხვი მხედრობა ფარაოს, უკანვე დასაბრუნებლად წარმოგზავნილი... „ეტლები ფარაოსი და ყოველი ძალი მისი შთასთხია ზღვასა შინა“... ვერც სხვა რკალივით რომ შემორტყმიან ებრაელებს და ჰსურთ დაიმონონ, დააბრკოლონ წინსვლა თავისუფალის ერისა. „ხელი ღვთისა მოსრავს ყველას“, ილოცვს წინამძღოლი და „შიში და ძრწოლა შეიპყრობს“ მოშურნეთ.

არ უფრთხოდა წინამძღოლი არც დაბრმავებულ, მონობას შეჩვეულ ისრაელთა ყველრება-უკმაყოფილებას, რომლებიც ყოველ წამს და ყოველ ნაბიჯზე გაისმინან. მოსე აკმაყოფილებს ხალხის თხოვნას, აქრობს გაჭირვებას, არჩენს ქრილობებს სიღარიბისას და სასოწარკვეთილებისას...

უღაბნო ოთომი... წყალი არ ყოფნის ხალხს. გარშემო მხოლოდ ქვიშაა და შიშველი სალი კლდეები. ყრუ ყოყმანი ისმის. მოსე კვერთხს დაჰკრავს და ცივი ცქრიალა ნაკალი გადმოსკდება.

აღმოსავლეთის მზე შეუბრალებლად ახურებს... ბული ასდის გზას. შეუძლებელია სვლა. მოსე ღმერთს შეევედრა, ღრუბელი მოიცვს მიდამოს დახრუკულს, საამო ჩრდილი მიეფინება ისრაელთ. ღამეს კი სვეტი ცეცხლისა ანათებს. „და აღარ მოაკლდა მათ სვეტი ღრუბლისა დღისით და სვეტი ცეცხლისა ღამით“.

სინას უღაბნო... დაღლილ, დაქანცულ ხალხს საქმელი შემოაკლდა. დრტვინვა გაისმა. წინამძღოლი ლოცვად დგება. ჭამადი და წყალი გაჩნდება. ასე უვლის მოსე თავის ერს, ასე ევლება იგი მას თავს, რათა შეიყვანოს „ადგილსა კეთილს“. და რომ მომზადებულ და ღირსეული იყოს ებრაელი იმა ადგილის დასაპყრობათა, მოსე სჯულს უწერს ძეთ ისრაელისათ. მცნებათ აძლევს, რომელმაც უნდა დასწვას ყოველივე ნაკლი და აღა-

მალღოს სახელი მოწყალე იელოვასი არჩიულ ერში. აღფრთოვანებული, ძლევა-მოსილი მისწრაფის წინამძღოლი წინ, მიედინება ისრაელი თავისუფლებისკენ, აღთქმულ ქვეყნისკენ. აჰა, საზღვრები უკვე მოსჩანან, აჰა მიზანი ხორციელდება. მაგრამ, წინამძღოლი იღლება: მოსეს ძალ-ღონე მოკლებია... მას ღმერთი მოუწოდებს...



ღამეა... ვარსკვლავები ცის ლაქვარდში ციმციმებენ. მიწა გამსჭვირვალე ნისლს მოუცავს. მისი კალთები დედობრივის აღერსით მოხვევია პატარა მთას—წაბაიას, რომელიც ქანაანთ ქვეყნის განაპირა საზღვარია. ამ მთის ძირში დაუბანაკნია ისრაელთ. კარვებში სიჩუმეა. სძინავს ყველას—ბნელა ყველგან, ხოლო ერთ განაპირა კარავში ოდნავ ბეუტავს სანათური ქონისა. ხმა დაბალი ლაპარაკი ისმის.

აქ არიან მოსე და იესო ნაველი.

— „მე ვერ მოვესწარ, — ამბობს მოსე: საკუთარის თვლით მენახა ბედნიერება ჩემის ერისა. მე არ მეღირსა დამკვიდრება მხარეში, რომელსაც ეფუცა ღმერთი მამათა ჩვენთა. მაგრამ განა საკმაო არ იყო, რომ მე მითი ვსცოცხლობდი, რომ მის სახეს, მასზედ აზრს სიყრმიდან ვატარებდი სულში, მას შევტრფოდი, შევხაროდი, მითი ვამაყობდი და ვუმკლავდებოდი ყოველივე დაბრკოლებათ?!

უკანასკნელადაც შევხებდავ მას!..

იესო! მე მივდივარ, მე მიმიწოდა იელოვამ და აი, ხედავ იმ მძინარე, სიბნელეში მყოფ ხალხს: — იგი შენ უნდა გეგებებოდეს, — ნუ შეშინდები, ნუ შეძრწუნდები შენ. ფრთა ორბისა მოიბი, მძლეობა ლომისა შეიმოსე, წარუძღვე წინ ისრაელს და დაამკვიდრე იქ, სადაც ვისწრაფოდით ეგვიპტეთგან. არ შეგაფრთხოს არავითარმა დაბრკოლებამ, ანუ გაჭირვებამ. არ შეგაშფოთოს ხალხის დრტინვამ და ყიყინმა. მან არ უწყის საშინელება თავის მდგომარეობისა, პასუხის გებისა აღთქმის წინ, რომელიც მამა-პაპამ, აბრაამმა, იაკობმა, იოსებმა გადმოგვცეს სინათლისკენ წარავლინე ისრაელი! შენ გაბარებ. მოუარე მას, ვით თვალის გუგას... წყალობა იელოვასი იყოს თქვენზე!..

თვალცრემლიანი გამოეთხოვა მოსე იესო ნაველსა და კარზე გამოვიდა.

შუა ღამე უკვე გადასულიყო, განთიადის ვერცხლის რკალი მოველო აღმოსავლეთისთვის. მოსემ კარგა ხანს უცქირა მძინარე კარებს. მერმე მობრუნდა და ნელის ნაბიჯით აპყვა წაბაის კიდეს. მალღა ავიდა, სულ მალღა „თხემსა ზედა ფაზგაზისა, რომელი არს პირისპირ იერიქოსი“. ხელის გულივით გაეშალა მოსეს წინ მთელი პალესტინა, დილის სინაზით აღსავსე და მკრთალ ნისლში გამოხვეული. ნათელი სახით და უსაზღვრო სიამით აღსავსე უცქერდა წინასწარმეტყველი მწვანეთ მობიზინე დაცვარულ მინდვრებს, ქოჩორა ბაღნარს, ჩაფიქრებით მიმდინარე იორდანეს და კედრინის ტყეთა... ლიბანიის მითი დაბერილმა ნიავმა დაუვარცხნა მოსეს თმა, ამოუმშრალა თვალები... მთელი საუკუნე იყო ამ წუთში! დიდებული წინამძღოლი დაეშვა მიწაზე და განუტევა სული. მზე უკვე ამოსულიყო და ოქროს გვირგვინი დაედგა მიცვალებულისთვის. გარდაიცვალა მოსე, დამარხეს, ხოლო საფლავი მისი არავინ უწყის მოდღეინდელით-დღემდე. ძლიერ ვიწროა მიწა ამ გვარ ადამიანთათვის: მათი საფლავი—თვით ხალხის ხსოვნაა.

ე პ ი ლ ო გ ი ს ე ბ უ რ ი

ვით ებრაელთა განახლების მამამთავარი, იგრე დაიწვი შენც, ტარიგო წმიდაო, სამშობლოს ტაძარში. დღეს ტაძარი იგი კარავს უპატრონოს დამსგავსებია. სამსხვერპლოს ცეცხლი ოდნავ ბეუტავს, საღმრთო კანდელი სუსტად ფარფატებს.

არ არის ქურუმი თავდადებული. არ არის მემკვიდრე, არსით სჩანს იესო ნაველი!..

1914 წ.

ობოლი



მსახიობი ი. უივიძე
სამხედრო სამსახურში გაიწვიეს

პატარა ზღაპარი

დორეთის ტაძარში იღვა ღმობიერების ღმერთის ნონას ქანდაკება. არავინ იცოდა მისი გაჩენის და დაარსების ამბავი. ის მუდამ იყო და მუდამაც იქნებოდა. საუცხოვო კოხტა თავი ამშვენებდა დაფარულ სხეულს, რაც ქვეყნად სილამაზე ყოფილა გაბნეული, რაც ღვთაებრიობა დაქსულა ბუნების წილში— ყველას თითქო აქ მოეყარა თავი და ამ მშვენიერ ქანდაკების თვალეში დაბუდებულიყო. იმათში ამოიკითხავდა ყველა კაცი თავის ნუგეშს. შეყვარებული, დატანჯული, დასჯილი, ღარიბი, დავრდომილი — ყველა ღმობიერებას და საღბუნებას მიიღებდა, იმის თვალეში შემხედვარე.

გარდა თავისა სხვა არაფერი ჩანდა. ქანდაკებას ტანზე შემოხვეული ჰქონდა ძვირფასი ქსოვილი, რომელიც ფარავდა მის საღმრთო საიდუმლოებას. ვერც ერთი ქურუმი ხელს ვერ შეავლებდა ქანდაკებას... ყველანი თრთოდენ მისი სიწმინდის წინაშე. ვიღოდა ჟამი და დორეთის ქანდაკებას თანდათან სახელი და თავგანება ემატებოდა.

მოთაყვანეთა შორის ერთი ვინმე ფარსაგი. არავინ იცოდა, სადაური ან ვინ იყო ეს ახალგაზრდა. სულ დაღვრემილი დადიოდა და ქანდაკებას თვალს ვერ აშორებდა. მთელი დღეები იჯდა და თვალცრემლიანი გატაცებით შესტკეპროდა ნონას... მის გარშემო ხალხი ირეოდა, მლოცველები მიმოდიოდნენ, მაგრამ ფარსაგი არავის ყურადღებას არ ატყევედა. მისი ოცნება, მისი გატაცების საგანი ნონა იყო.

ერთ საღამოს, როცა ქანდაკებას ჩვეულებრივ მლოცველები შემოეცალნენ და ის, სასწაულთ მომქმედი, მარტო დასტოვეს, ფარსაგი ფეხაკრეფით შეიპარა წმიდა ღმობიერებასთან და გაიშხლართა მის კვარცხლბეკთან. ოდნავ განათებულ ტაძარში ქანდაკებას თითქო ძალა და სათნოება ემატებოდა. ფარსაგი თრთოდა... სახეზე რალაც გადაწყვეტილება იხატებოდა, მაგრამ საშიშროებას შეგებყო მისი ბუნება. ის დიდხანს იტანჯებოდა, ორ გრძობას, შუა მყოფი: შაშის ზარი და სურ-

ვილის ქარტახილი მის არსებას აფორიაქებდა.

ბოლოს ის გატაცებით შეეტოტრტმანა კვარცხლბეკს და გმინვით წარმოსტკეპა: „ღარ შემიძლიან მეტი მომკალ, ნონა, აქვე გამაქრე, მაგრამ იცოდე, რომ მიყვარხარ... მიყვარხარ და ვეღარ გავძელო უნდა ენახო, უნდა განვიცადო, შენი წმინდა საიდუმლოება! უნდა მოგგლიჯო სამოსი, რომელიც მიმაღავს მე ამ უმაღლეს ბედნიერებას! მე ტაძარში ვარ, მე ღვთაებრივ აღვილზე ვდგევარ და მის წმიდათა წმიდამდი ხელი არ მიმიწვდება! არა, უნდა მოგგლიჯო სამოსი და ნუ გამკიცხავ, ღმობიერო!“

ფარსაგი თანდათან ეტანებოდა სამოსს .. და ბოლოს სწვდა ერთ კალთაში და, რაც ძალი და ღონე ქონდა, დათხლიშა ძირს...

საშინელი გრგვინვა შემოესმა ფარსაგს. მან იგრძნო, რომ ქვეყანა შეინძრა, ტაძარიც შუა გაიყო. ყოველი მხრიდან ჩოჩქოლი, ხმაურობა და ალიაქოთი ატყდა... ფარსაგი გარინდებული იღვა უძრავად. ის თითქო ქვა იყო, ანგარიში ვერაფრისთვის გაეწია და გარკვეულს ვერაფერს გრძობდა. სწამდა კი, რომ რალაც საშინელემა ჩაიღინა.

ამ საშინელეებასთან მას საუცხოვო ნახი ხმა შემოესმა და მახლობლად ვიღაცის ცხელი სუნთქვა იგრძნო.

— „ფარსაგ, ჩემო ფარსაგ, შენი ვარ შენი, გმადლობ, რომ გამაცოცხლე!“

ფარსაგმა იგრძნო, რომ ნონამ ხელი მოხვია და თავისი მშვენიერი თავი მას მკერდზე მიაყრდნო.

— „წმინდა ნონა?!“ შესძახა ფარსაგმა.

— „ღიად წმინდა, მაგრამ დღემდის მკვლარი ნონა ვიყავ მე! დღეს კი ცოცხალი ვარ და შენი ვარ, ჩემო ფარსაგ!.. მიუწლომელი ვიყავ და წმინდა ვიყავ, მაგრამ მკვლარი ვიყავ და სიცოცხლისა არა ვიცოდი რა! ეხლა ცოცხალი ვარ! ოჰ, სიცოცხლე! რა ტკბილი და მშვენიერია იგი!“

ნონა და ფარსაგი ფეხაკრეფით გაიპარენ და მიიმალენ ღამის წყვილადში.

ფ. რუშაველი

ჩუპი მოღვაწენი

ღმერთო მიეც ჩვენს ქვეყანას
ბედი და ბედნიერება!..

ვ. კირვალიძე



სიტყვა თვი-
ნიერ საქმისა
მკვდარ არსო,
ბრძანებს წმ. სა-
ხარება...

და მართლაც,
რა გვეშველე-
ბოდა, სიტყვა-
სან ხალხთან ერ-
თად მოსაქმე-
ნიც რომ არა
გვყოლოდა?!

ჩვენი წესად
შემოდებულია
მსახობთა, მწე-
რალთა ანუ სა-
ერთოდ ისეთ

გლეხი მოღვაწე-მოღვაწე
ვასილ ნონიას ძე კირვალიძე
(25 წ. სახალხო მუშაკობის გამო)

ადამიანთა ნამოღვაწევის აღნიშვნა, რომელ-
ნიც ყველას თვალში უფარდებიან, და თითქ-
მის არც კი ახსენებენ, არ ამჩნევენ ისეთ ადა-
მიანებს, რომლებიც მამულიშვილური გრძო-
ბით გამთბარნი, მოძმეთა საკეთილდღეო მის-
წრაფებით აღგზნებულნი, უჩუმრად, შეუღმ-
ნეველად ემსახურებიან ხალხის გამოფხიზლე-
ბას, სამშობლო თეატრის გავლენის ზრდასა
და მწერლობის გავრცელებას...

ერთი ასეთი ჩუმი მუშაკთაგანია ჩვენს
მდაბიო ხალხში—განსაკუთრებით ხელზე მო-
სამსახურეთა შორის—კარგად ცნობილი ვა-
სილ ნონიას ძე კირვალიძე...

ვ. კირვალიძე „საწყალო რაჭველი გლეხის
შვიდა“, როგორც თვითონ ამბობს ერთს
თავისს ლექსში, ბაღლობიდანვე გამოექცა
„მინდორს მამეულს და შეჩვეულს მიწასა,
წყალსა“... ეს ის დრო იყო, როდესაც უმიწა-
წყლობით შევიწროებული რაჭველი გლეხკა-
ცობა, „ბატონის მათრახისგან შეწუხებული“,
როგორც ამბობს ილია ქავჭავაძე, თბილისს
მოიწვედა ბედის საძიებლად... ბევრი მათგა-
ნი მიკუთრდნენ, დღიურ მუშად, მეეტლედ,
უმეტესად კი ხელზე მოსამსახურედ ღებო-

და... და ბრმა ბედის დაცინვით ამ შინაურ
ხალხს თბილისში ჩამოსახლებულ-გაბატონე-
ბული უცხო ტომი „მოთრეულა“-ს, „იმერე-
ლო დვიტიკელო“-ს და სხვა ასეთი დამცინა-
ვი სიტყვებით ამკობდა. რკინის ხასიათი უნდა
ჰქონოდა კაცს, რომ ამ დროს თბილისში
არა თუ კულტურულ მუშაობაში ჩაბმულიყო,
არამედ ფეხი მინც მოემადგრებინა... თვით
ჩვენი დიდი ილიაც კი თითქო უცხოსავით
შეჰყურებდა ამ უგამოქცეულთა.

„აქ სად მოსუღსხარ? რად დაჰკარგე და რად დას-
ტოვე,

მის შავიერი ტფილისშია აბა რა ჰქოვე?!“-ო.

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ გამოქ-
ცეულმა“ ხალხმა თბილისში—თავის სამშო-
ბლოს დედა ქალაქში—არა თუ რალაც ჰქოვა,
ფეხიც მოიმადრა და გვწამს, ჩვენი მომავლის
განმტკიცებაშიაც იგი დიდს როლს ითამა-
შებს ..

აბა თვალი გადაავლეთ დღეს რამდენმა
ამ უგამოქცეულთაგანმა“ თბილისში საუკეთე-
სო სასტუმრო, სავაჭრო ანუ სახელოვნო გა-
აჩალა და ჩვენი ერის კულტურულ-ეკონომი-
ურ აღორძინებაში შეგნებით მონაწილეობს...

და, ვიმეორებთ, ასეთი ხალხის ეროვნუ-
ლად გათვითცნობიერების დიდი მონაწილე
ჩვენი ვასილიც იყო, პირველხანად ხელზე
მოსამსახურე (სხვათა შორის, აკაკისთანაც მსა-
ხურებდა), რომელიც ახლა ბაქოში ერთერთი
სასტუმროს ერთი პატრონთაგანია...

ვ. კირვალიძე სკოლის სკამზე არა მჯდა-
რა, წერა-კითხვა თავისით ისწავლა, შემდეგ
სამშობლო მწერლობის (ქართველ მწერალთა
ნაწერებით) დაწაფებით განვითარდა, თვითო-
ნაც დაიწყო ლექსების წერა და არა ერთი და
ორი აზრიანი ლექსი მოათავსა ქართულ ჟურ-
ნალ-გაზეთში*). მაგრამ ვასილი უფრო პრაქტი-
კული მუშაობით არის ცნობილი: როცა კი
რამე საერო დღესასწაული გამართულა ჩვენ-
ში, იგი მუდამ პირველ რიგზე მდგარა ხელ-

*) მის ლექსთა ვრცელი კრებულის ხელთნაწერი
ამ პუბლიკაციის დამწერთან ინახებოდა ამ ხუთიოდე წლის
წინად, მაგრამ მოულოდნელ სტუმართა საქმიანობის
უამს სადღაც გაჰქრა და დღემდე ვერ გვიპოვნია.

ზე მოსამსახურეთა მხრით და ერთის მხრით თუ ჩვენს დღესასწაულებს ამკობდა, მეორით — ასეთი გამოსვლებითავე მოსამსახურეთა შორის ეროვნულ-საზოგადოებრივ თვითცნობიერებას აღრმავებდა... დღესაც იგი, უკვე ჯანგატეხილი (მძიმე ავადმყოფობა გამოიარა), თუმცა საკუთარ საქმეშია ჩაბმული, მაინც სამშობლო ქვეყნის ყოველ მაჯის ცემას ეხმაურება, ხალხის კულტურულ წინსვლას ხელს უწყობს და ზენაარს შეჰლაღადებს:

„ღმერთო მიუტ ჩვენს ქვეყანას
ბედი და ბედნიერება! —“.

და ეს მხოლოდ ცალიერი სიტყვები არ არის მისი: ამ ნატერას საქმიტაც ასრულებს, რომ მართლაც ჩვენს ქვეყანას მალე ელირსოს ბედი და ბედნიერება!..

ვაუმარჯოს ასეთ მუშაკთ!..

იოსებ არიმათიელი



კალენიკე გ. ანთაძე,

ჯარის კაცი, ერთხელ დაჭრილი გერმანიის ფრანტზე, ექვსი თვის შემდეგ ხელმეორედ გაიწვიეს ბრძოლის ველზე. ჭრილობისაგან გარდაიცვალა 17 იანვარს 1916 წ. ბათუმის სამხედრო ლაზარეთში. მშობლებმა წასვენეს გურიას, სამშობლო სოფ. ბეოლიეთში. ამისი მეორე ძმაც ასე დაიღუპა ტრადიკულად ბრძოლის ველზე ამ ერთ წელიწადში.

ყვავილები

ნ უ შ ე მ ი ბ რ ა ლ ე ბ თ!

თუ მამაკურად ბრძოლისა ველზე ვერ მოვიხადო სამშობლოს ვალი, მამულს უჭირდეს და მე კი იმ დროს ქარქაშში მეგოს პირ-ბასრი ხმალი, —

მაშინ, ოხ, მაშინ, სამშობლოს მთანო, მაშინ თქვენ ჰვი, ამაყნო გმირნო — ნურც მკვდარს, ნურც ცოცხალს, ამას გაველებთ: ნუ შემობრალებთ, ნუ შემობრალებთ!

ვეფხო ფშაველი

კ ა მ უ ნ ი ს გ ვ ე ლ ი

აღისფერია მთვარე ცის თაღზე,
ღრუბელი სხივთა ცეცხლში იწვება,
წყარო ჩუხჩუხით ყვავილთ წიაღზე
მიიკლანება და ხევში წვება...

სისინობს სიო,
ბიბინობს მოლი,
თვალს აჟუჟუნებს
ზედ ნამი ბროლი...

იას ყელს უმკობს
აღმასის რგოლი,
ტოკავს, თახთახობს
ლხენით ფოთოლი...

და მეც მგზნებარე ფიქრ-ატეხილი
ვუყვიე სატრფოს, ვუხმობ და ველი;
ლურჯ ნისლთა ზღვაში მთათა გრეხილი
თვლემს უბასუხოდ, თვლემს ტყე და ველი;
კრუ მოლოდინით შეთაღსულ ქნარზე
სიმთ შამოეჭდო კაეშნის გველი...

რა რიგ გაშავდა მთვარე ცის თაღზე,
ცხარე ცრემლთა ქვეშ მოსტკვამს ღრუბელი...
მოსკოვი. **დ. ცვარნაში**

ს ი მ ლ ე რ ა

(ხაღხურ კიღოზე)

ვინ არ იცის, რომ ბულბულსა
სჩაგრავს ყვავი ყვანჩალო,
წყეულია მისი გვარი,
უნამუსო, ჩანჩალო!

მის ჩხავილი ხალხსა ჰზარავს,
მოაგონებს რაღაც ავსო, —
ნეტა იყვეს მარდი ვინმე,
გაუგლიდეს მაგრად თავსო, —

მაშინ გული ჰპოვებს ლხენას,
ამუსიკებს ტებილად ენას
და ბულბულიც, დაჩაგრული,
სამაჟურად იწყებს სტვენას...

ი ა გ ო ტ ე ტ უ ნ ა შ ვ ი ლ ი

თუზური ლექსები

ქალო რისთვის გიხარია
 კარგი ყმისა ცოლობაი?—
 კარგი ყმისა ცოლობასა
 კარგი უნდა ქალობაი:
 შინა სახლსა რიგი უნდა,
 კარე-კურსა შვენებაი;
 სტუმარსა კარგა დახვედრა,
 კარგი გულის ჩვენებაი.

დაიცა, ნუ წახვ, მჭედელო,
 ლურსმან გამიკეთ ნალისი,
 ცხენს უნდ დავაკრა ფეხებზედ...
 პირობა მაქვის ქალისი.
 ვაჟ-ქალის მოარშიყესა
 ჩოხა უნდ გეცვას ჯაჭვისი,
 ცხენიც უნდ გყვანდეს ისეთი,
 რომ ტოტი ჰქონდეს ქარისი,
 ენაც უნდ გქონდეს ისეთი
 მიქცე-მოქცეულ ქლარცისი.

გედ. გელოვანი



მუშა მამულერალ-მკაღბებელთა ღოტბარი
 მ. კ ა ვ ს ა ძ ე
 ხარგობას დიდ კონცერტს მართავს სახალხო სახლში.

მუსიკოს-მასწავლებელი



† იოსებ გიორგის ძე მონადირიშვილი

ელმობელმა სიკვდილმა არ დაუფვნა, ჩვენს
 საზოგადოებრივ ბანაკს კიდევ ზარი ჩამოურქვა
 და ქართულ მუსიკოსთა მდიარე გუნდს ერთი ნი-
 ჭიერი წევრი წარსტაცა...

სამშაბათს, 15 მარტს, თბილისში მრუ-
 ლოდნულად სიღამბლით კარდაიჭვალა ჯერ კიდევ
 ახალგაზდა (45 წ.) მუსიკოს-მასწავლებელი იო-
 სებ გიორგის ძე მონადირიშვილი...

ი. მონადირიშვილი დაიბადა თელავში
 1871 წ. 28 ქრისტეშობისთვეს, სწავლობდა თე-
 ლავის სასულ. სასწავლებელში, შემდეგ გადავიდა
 თბ. სას. სემინარიაში, სადაც 21 წლისამ დაამ-
 თავრა კურსი. (შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში
 შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე). მასწავლებ-
 ლობდა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელ-
 ში (2 წელიწადს), შემდეგ ქართულ გიმნაზიაში
 სიკვდილამდე. დარჩა ცოლი და სამი წერილი
 ბაღდი (უფროსი მათგანი 7 წ.).

მუსიკის სიუვარული და ნიჭი ი. მონადი-
 რიშვილმა სიუმწვილიდანვე გამოიჩინა: საერთოდ
 ქართულ მუსიკაში და განსაკუთრებით სამხმკან
 გაღობაში დიდი დეაწლი მიუძღვის. დაწერილი
 აქვს სხვა და სხვა რომანსები, ჰასეჟის ტრამპ-
 რები და სს.

იგი ცნობილი იყო ვითარცა ნიჭიერი სა-
 ეკლესიო ღოტბარი. ამ რამდენიმე წლის წინად
 შეადგინა მკაღობათა გუნდი, კარგა ხანს საუ-
 ცხოვოდ აკაღობებდა ეკლესიაში და მშობლიურ
 გაღობის სიუვარულს აღვიძებდა.

კურთხეულიმც იუოს სახელი მისი და სსოვ-
 ნა კი—უკვდავი... ი - ი

ბ რ ი კ მ ზ ი

ბიესა სამ მოქ. და ოთხ სურათად
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 11)

IV

გიორგი, სონა და ილია ლუკიჩი შემოდან. (სონა თავის ოთახში შედის. გიორგი ხალტოს გაიხდის და ილია ლუკიჩის შეაკვს გიორგის ოთახში, რომელიც სწრაფად გამოდის ისევ სტენაზე. გიორგი სწავრძელში ჩაჯდება და სიგანას უკიდებს)

ილ. ლუკ. (მხიარულად) ძალიან დრო კი გავატარეთ, ბატონო გიორგი, სწორედ რომ დაუვიწყარი ქეფი გექონდა.

გიორ. ქეფიც კარგი იყო და კურჩო-ზებიც ბევრი ვნახე. დიდი ჩუღაკი კი არის ეს ვასილ ივანიჩი (ივანიჩი) მე რომ შაგის უფროსი ვიყო, მაზრას კი არა, ხუთ ბატს არ მივაბარებ. არა როგორ გასულელდა, როგორ გაგიჟდა კაცი!

ილ. ლუკ. ის, ბატონო გიორგი, სულ იმ შეთვალა ქალების ბრალი იყო. იმათი ეშხით იყო ის ყანწები რომ ხუხა! (ივანიჩი)

V

გიორგი, ილია ლუკიჩი და სონა.

სონა. (ეურს მკვკანაფს ილია ლუკიჩის ღა-ზაკას) აბა იმ ქალებმა დაუყენეს იმას თვალები, ქალებს არაფერი დაჰკლებია და ის კი სამასხარავო გახდა! არა, ის სკამი, რომ გადმოუბრუნდა და ყირამალა გადავარდა ის იყო სეირი. (ივანიჩი)

გიორ. (ილია ლუკიჩის სიცილით) სასაცილო ის იყო, ბარიშნები რომ ვეღარ გაარჩია და შენ სიდელარს დაუწყო არშიყობა!

სონა. ოთხმოცი წლის დედაკაცს! (საერ-თა სიცილით)

ილ. ლუკ. (სიცილით დასეპუღი) ბევრი ეძახა: „შვილო, შვილოვო“, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. (ზანის ხმა ისმის)

გიორ. ვინ უნდა იყოს ნეტა!

სონა. ვასილ ივანიჩი არ მოჩერჩეტდეს მთვრალი, თორემ აიკლებს აქაურობას.

ილ. ლუკ. ის ახლა კი არა, ვინ იცის, ერთ კვირასაც ვერ მოვიდეს ქუუზედ, ისეთი მთვრალი იყო! (კიდევ ზანის ხმა)

გიორ. რა ამბავია, სად არიან ეს გოგობიკები! დეეძინათ, თუ რა ღმერთი გაუწყრათ!

სონა. (სიცილით) იმათაც ხომ არ გამოგვიცხადეს ბოიკოტი! (კიდევ ზანის ხმა)

ილ. ლუკ. მოითმინეთ, მე ვნახავ ვინ არის.

სონა. მოითმინეთ, ილია ლუკიჩი, დაუძახებ, ბიჭი მოვა და ის გაუღებს კარებს! (სონა ზანს ურეკავს ზავლიან)

ილ. ლუკ. არაფერია, ბატონო, მე გეახლებით! (გადის)

სონა. ნამდვილათ ისინიც გვეფიცებიან, თორემ სად არიან აქამდის!

გიორ. გვეფიცებიან და ყველას ჯავრს მაგათზე ვიყრი, მაგ ლაწირაკებზე! (გაჭაფრებუღი რეკს ზანს. ამ დროს შემოდის ილია ლუკიჩი, ტელეგრამა შემოაკვს.)

გიორ. უკაცრავად, ბატონო ილიკო, შეგაწუხეთ. ეგ რა ტელეგრამა?

ილ. ლუკ. დიახ, ტელეგრამა გახლავთ. პოსტალიონი რეკდა თურმე. (გიორგი გამო-ანთმეფს ტელეგრამას და ჩუმად კითხულობს. გაჭაფრება ეტეობა. ჩქარას ნაბიჯით იწეებს წინ და უკან სიარულს.)

სონა. რა ამბავია, გიორგი, ვისგან არის დეპეშა?

ილ. ლუკ. ცუდი ხომ არაფერია, ბატონო გიორგი?

გიორ. ცუდზედ უარესია, ჩემო ილიკო. წაიკითხე და გაიგებ. (იძლეფს დეპეშას) ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია ჩემ თავს! ნუ თუ ჩემი სახელი, ჩემი სიძლიერე, პიროვნება მაგ მურიანებმა უნდა დასთრგუნონ. (სწავრძელში ჩაჯდება)

სონა. (რომელიც აქამდის გაფრებუღი უეუ-რება, გიორგის ამშვიდება) დაწყნარდი, ჩემო გიორგი, რატომ აღელდი ასე, რა ამბავია! (ილია ლუკიჩის) ბატონო ილიკო, მეც გამაგებინეთ დეპეშის შინაარსი, რაშია საქმე?

ილ. ლუკ. არაფერია ბატონო სონა. ეს საქმის დეპეშა გახლავთ, სადნც იწერებიან, რომ საქონელი გვჭირდება და ვადაზე ჩავვა-ბარეთო.

გიორ. არა, ნუ თუ მე მათი სასაცილო უნდა გავხდე, ნუ თუ ვილაც მუშებმა უნდა



პორუჩ. სერგეი ნიკოლოზის ძე აგულოვი
სამხედრო-სამედიცინო აკადემიის 3 კურსის სტუდენტი,
სარიყამიშის ლაზარეთში სახლით გარდაცვლილი.

გამტეხონ წელში არა, არა, მე მათ სურვილებს, რომ დაიხოცნენ, არ შევასრულებ. (იღია ლუკიჩს) მისწერეთ დღეებში მაგ ფირმებს რომ ვერ გაუგზავნი საქონელს გაფიცვის გამო. დეე, ვიზარალო, სულაც რომ დავიღუპო, მე მაინც მაგათ ჩონგურზედ არ ვითამაშებ. თუ უნდათ ძველ პირობებში იმუშაონ, ისიც ნახევარს ვავეყრი ქარხნიდან. თუ არ უნდათ—დავეკეტავ წარმოებას და მაგათ კი არ ვათქმევინებ, რომ მოვეყრიეთ, შევაშინეთ და დავვაკაპოფილაო.

სონა. გიორგი, რა დავემართა! შენ თავს ანგარიშს არ აძლევ. მოიცადე ვიფიქროთ, და როგორც სჯობდეს ისე მოვიქცეთ.

ილ. ლუკ. ბატონო გიორგი, არც ასე გაჯავრება ვარგა. რათ იშფოთებთ გულს. დამშვიდდით, ავწონ-დავწონით საქმე და როგორცა სჯობდეს ისე ვიმოქმედოთ. (პაფლია შემოდის)

VI

ივინივე და პავლია, შემდეგ კესა.

გიორ. სადა ხარ აქამდის, ზარის ხმა არ გესმის?

პავ. (ხმას არ იღებს)

გიორ. რას გაჩუმებულხარ, შე ვირო, შენა!

პავ. (ხმას არ იღებს)

გიორ. (სონას) დარეკე ზარი იქნებ გოგო მოვიდეს, ვნახოთ ის რას იტყვის. (სონა რეკს ზანს; გიორგი ისევ პაფლიას მიუბრუნდება) რატომ ხმას არ იღებ შე არამზადაე, ენა

ხომ არ ჩაგივარდა! სადა ხარ აქამდის?

პავ. (ხმას არ იღებს)

გიორ. (გაბრაზებული) ბიჭო, შენ გელაპარაკები სადა ხარ მეთქი აქამდის? (შემოდის კესა. გიორგი კესას და პაფლიას) ეს რა ამბავია ზარს გირეკავთ და არავინ მოდიხართ!

კესა. (ხმას არ იღებს, მაგრამ სირცხვილით წითლდება)

სონა. გოგო, რას დამუნჯდი, სად იყავი აქამდის სთქვი.

კესა. (ხმას არ იღებს)

გიორ. (იღია ლუკიჩს) მე ხომ გითხარით, ილია ლუკიჩ, რომ იმ საციმბიროებს ყველგან აქვთ თავიანთი ქსელი გაბმული მეთქი. ხედავთ ესენიც გადაურევიათ. აბა, თუ გინდათ სანაძლეოზე დავრეკოთ კიდევ ზარი, მოვიდეს ის ბებრუხანა მზარეული, თუ იმასაც ასე არ ჩავარდეს ენა! (რეკავს ზანს, შემოდის ბესარიონი)

VII

ივინივე და ბესარიონი.

სონა. ეს რა ამბავია, ბესარიონ, ნუ თუ ზარის ხმა არ გესმით, რომ ყურს არ აპარტყუნებთ!

ბესარ. (ხმას არ იღებს)

გიორ. ეს რა შეთქმულობაა! ვის ეფიცებით, თუ თქვენც ბოიკოტს მიცხადებთ! ვაგსრესავთ როგორც ჭიას, თქვე ლაწირაკებო, თქვენა. (ანდ ერთი მათგანი ხმას არ იღებს) აბა ერთი მიბრძანეთ, ბატონებო, თქვენ რაღა გნებავთ?

პავ. უერთდებით მთელი მუშებისა და საზოგადოების აზრს და ჩვენც; მათთან ერთად, ვიფიცებით და ბოიკოტს გიცხადებთ, სანამ მუშათა მოთხოვნები არ დააკმაყოფილებთ.

გიორ. (სიბრაზისგან სიგოყმდის მიდის, სრულიად ნერვებ აშლილი საშინლად დაიუფიწებს.) გასწით, გამეცალეთ სახლიდან. აღარა ვნახოთ ჩემმა თვალებმა. (გაჯავრებული დადის) გასწით ეხლავე, აიპარით გულა-ნაბადი, წაიღეთ თუ რამ გერგებათ და მოსცილდით ამ არე-მარეს თქვე მუქთა-ხორებო, თქვენა! (პაფლია თვალთ ანიშნებს წასვლას. პირველად თვითონ გადის, მას მიჰყვება კესა, შემდეგ ბე-

სარიონი) ლაწირაკებო! არა, ეგენიც რომ აპყენენ ფეხის ხმას! წავიდნენ ეხლა და იარონ.

სონა. ერთი უყურეთ მაგ გასაწყვეტებს. არა, მაგათ ვიღამ ასწავლა ეს ბოიკოტი!

გიორ. ასწავლეს და აბა ვნახოთ, რას იზამენ. (შედის გაჯავრებული თავის ოთახში)
(შემდეგი იქნება)

გოგია

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

(ქ. ხარკოვი გამართულ „ქართულ ტრადიციულ საღამოს“ გამო)

რად დასჭირდათ, რა ის საღამო „ქართული ტრადიციული საღამოს“ სახელით მონათქვამს?

იქნება იმისთვის, რომ საღამოს წინ დასაწყობებულ ზღაპრებზე კურცნიანი რატკელი მუშისთვის ღვინით სავსე ტიკტორები აკვიდნათ? — ანა და „აფიშებზე“ მისვლიის ასრებით (ვიდრე თვით—*Грузинский вечер*) „Шашлык“ წაეწერათ?..

იქნება იმისთვის, რომ ქართველის დაუდევრობისა და უწესრიგობის კვადი საღამოს ეფელს ნაწილს და უფელს განყოფილებას უფელგან ნათლად აჩინდა?.. ანა-და იმიტომ რომ, რამდენიმე, კინტოს ტანისამოსში გამაწეობილი სტუდენტი, — თეატრის ფოიეში „ჩვენებურად, დარდიმანდულად“ ბანაკანთ ელაზდანდაწვებოდა? თუ ანა და რა იყო ამ საღამოზე ქართული — ეს სახელი რა უწოდეს?!.. იქნება იმისთვის, რომ ბატონ ლობაძეს (გ. ბ— შვილს) გუნდი ვერ მოემზადებინა და ისე უდაზათოდ აკანაგლა იგი უცხო საზოგადოების წინაშე? განა ღამაზს „სამშობლოს“ ისეთი უშრო შესრულება უნდა? განა ცოდვა არ არის, რომ ისე დაამახინჯეს გულის დამატრეველები ჭანგები მისი?.. განა შეიძლება ასეთი გულგრილობა?.. იქნებ იმისთვის, რომ უმაღლეს სასწავლებელში მუფს — მეცნიერების წუაროს დაწაფებულს ახალგაზდობას ვერ მოეხერხებინა — უცხო დასწრე საზოგადოებისთვის რამე ცოდნადი საზრდო მიეწოდებინა?.. ასეთი უშინაარსობა შეგშვენის მას?.. ნუ თუ არ შეეძლო ვისმე ან

მოსხენება (დეე, თუნდ რუსულ ენაზე), ან სხვა იმის გვარი რამ წაკითხა — ჩვენი დღევანდელი ბედშავის მდგომარეობის შესახებ, რომ ამით მანტ დაენახებინა — დღეს, თვალ რიდე-ახვეულ რუს საზოგადოებისათვის ესოდენი ტანჯვა ჩვენის ერის ობოლის სულისა, — სულ ერთია, ხელაფნებიდან, ისტორიიდან თუ თანამედროვე ჩვენის ცნაფრებიდან იქნებოდა იგი?

არ შეგეშვენის, ათასჯერ არ ასეთი უნდილობა, — ცოდვა ასეთი უეურადღებობა...

ნუ თუ მარტო „Шашлык“ და „ღოლი“ და გვაქვს ქართული?!

ნუ თუ ეს სტუდენტობამ ჩაიძინა?.. ნუ თუ კიდევ განმეორდება შემდეგში ამგვარი რამ?..

— არა, დროა, გამოვიდგიოთ... ქვეყანა ირეყვას... ზოგი ცუცხლითა და სისხლით ქვეშის თავის ერის ბედნიერებას და ნუ თუ ჩვენ განთიადი საქართველოსი, რომელთაც ხელით-ხელ უნდა ვაგვამანათ მისი გაბზარული სიცოცხლე, უნდა გამოურეკველდობის ბურანში ვიყვნეთ სამუდამოდ კართული?..

დროა...

მოვალეობა უგვე გვისმობს, გვეძახის...

მ — ოლი

ქ. ხარკოვი



ნესტორ გიორგის ძე თოფურაძე
ჯარის კაცი, ოსმალეთთან ბრძოლაში მოკლული.

ც ა ც ი ა ხ ე ლ ი

(ია კარგარეთელის სასულიერო კონცერტის გამო 13 მარტს რახ. კლ.ა)

აიწია ფარდა...

სცენაზე თბ. სასულიერო სემინარიის მოწაფე-მაგლობელთა გუნდია, მის წინ ზურგ-შემოქცეული შავად მოსილი კაცი...

წუთიც და ამოძრავდა ცაცია ხელი, მოისმა მძიმე ხმა...

ცაცია ხელის პატრონი გუნდის ლოტბარია, მუსიკოსი ია კარგარეთელი, რომელიც მხოლოდ მარცხენა ხელს ამოძრავებს, მარცხენათი სწერს და ლოტბარობს, მარჯვენა კი დადუნებული აქვს, თითებ-დაკვლანქული უბედური შემთხვევისა გამო, ამ ათი წლის წინად რა დაჰმართა ბოროტმა ხელმა...

მაგრამ ეს გარეგნული ნაკლი კი არ ამცირებს ჩვენს საყვარელს მუსიკოსს: არა, კიდევ უფრო უშუქსა ჰფენს მის გულგაუტეხაობას, საქმის სიყვარულსა და მადლიან მუშაობას...

„ვისაც ჩემი სიჭაბუკე არ უნახავს, ნურც ჩემს სიბერეს უჩვენებსო, — უთქვამს ჩვენი ხალხის სიბრძნესა და მართლაც:

ახლაც თვალწინ მიდგას რამანსუბის მუყეუთა კარგარეთელი, ამ 20 — 23 წლის წინად, თბ. ძველ სახაზინო თეატრ'ში მთელი, ქართველი და უცხო, საზოგადოება რა მოაჯადოვა თვისი „ლღეს მერცხალი“-თ და სხ.

მაგრამ არც მეორე ანდაზაა მცდარი: ბებერი ხარისა რქანიც კი იწვევიან...

მართალია, იას სიბერემდე ჯერ ბევრი უკლია, სწორედ ახლა მოველით მისგან უფრო დასრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებს, მაგრამ სიჭაბუკის ცეცხლი მაინც თითქო მიჰნელებია...

და სწორედ ამ გარეგნულად მინელებული, მაგრამ შინით უქრობი ცეცხლის გამო ნაშუქია მისი უკანასკნელი სასულიერო საგალობელი, 13 მარტს სასულიერო კონცერტის სახით შესრულებული „ახალი კლუბის“ დარბაზში.

წყნარი, სასოების მომგვრელი, არა ამ ქვეყნიურ განცდათა აღმძვრელი, სულის ამჩუყებელი, — აი, როგორი იყო იგი...

მართალია საგალობლებს ერთფეროვანება, ერთილოვნება ეტყობა (თვით პროგრამა ერთფეროვან საგალობელთაგან იყო შემდგარი), მაგრამ ნუ თუ ჩვენი წარსული გრძელი ისტორიული ცხოვრება, ტანჯვა-წამებით აღსავსე, უმეტესად ერთფეროვანი არ იყო?!

და ჩვენმა ეროვნულმა ეკლესიამაც ერის სულის კვეთება, იღუმალი მოთქმა ხალხის სიღუბჭირეთა, სულიერ განცდათა სინამდვილით აღბეჭდა: მთელი გალობა თითქო განუწყვეტელი სინანულის ლოცვააო ..

ნაკლი?

მაგრამ რომ იყოს კიდევ, ჯერ საგალობელთა ნაკლის აღსანუსხავად არა გვეკალიან...

საღამოს ნაკლი უპირველესად ის იყო, რომ ვინც უფრო მეტის ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს სამშობლო ეკლესიას — ქართველი სამღვდლოება — ნაკლებად დაესწრა: სულ ოციოდე ქართველი სასულიერო პირი...

სამაგიეროდ დაეწირენ პლატონ ექსარხოსი, რუსები სპარსეთის, საელჩოს წარმომადგენელი და, თათრებიც კი და... განმარტება საქირო აღარაა... *)

მეორე ნაკლი — ქართული მუსიკის ზოგიერთ მუშაკთა აღმაცერად ლაპარაკი, თითოეულის მათგანის მიერ თავისთავის გარეშე სხვისი ნაშრომის არარად აღიარებაა...

უმთავრესი ნაკლი კი ისაა, რომ ჩვენს საზოგადო, სამუსიკო, სასცენო თუ სამოქალაქო ცხოვრებაში ჯერ კიდევ მხოლოდ ცაცია, მარცხენა ხელი საქმობს, მარჯვენა კი დადუნებულია... ჯერ კიდევ ცალი ხელით — მარცხენათი ვმუშაობთ, ჩვენს საერო საზოგადო საქმეებს ჯერ კიდევ რამდენიმე კერძო კაცი თაოსნობს, ბევრი გაქირვებით, და მარჯვენა, მძლავრი მხარე კი...

ნუ თუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მარჯვენა ხელი აღარ ამუშავდება?!

ექიმი შტოკმანი

*) ქართველ სასულიერო პირთაგან დაესწრენ ვპ. ანტონი, არქ. იოანე და ნაზარი, დევ. ნ. თალაკვაძე, ნ. მაჭარაშვილი, კ. ცინცაძე, კ. კვეციანი, ს. შოშიაშვილი, მღ. ვ. კარბელაშვილი, ი. მირიანაშვილი, ნ. და ლ. ნათიძენი, ა. კავკასიძე, მიქელაძე, ფხვალაძე, სარალიძე და ორიოდეც სხ.

ჩენი დროის ევაგილები

(თანამედროვე სურათები)

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 10)

— მაშ, შენ ამტკიცებ, რომ ქალი მხოლოდ გრძნობათა ღელვის დასაკმაყოფილებლად არის გაჩენილი? შევეციოთ მე.

— სწორედ, სწორედ. Эта аксиома.

— სცდები, ჩემო კარგო, სცდები...

— А ты какъ думаешь, თითონ ქალები კი იმას არა სცდილობენ? Чѣмъ объяснить то, что ддес ერთს დასდევენ და ხვალ მეორეს? Тѣмъ, что ერთი მოსწყინდებათ... ახლა მეორე და მესამე უნდათ. А если не вѣришь я могу доказать фактами — აი, წაიკითხე. ამ სიტყვებით მან უბის წიგნი ამოიღო და რამდენიმე რუსული წერილი მომაწოდა.

— რა არის, კაცო რომ ყველა „люблю! люблю! приходи, приходи да твоя твоя“ — ს გაიძახიან. წამოვიძახე მე ღიმილით წერილების გადაკითხვის შემდეგ.

— Вотъ видишь — ყველა ერთ ჭკვისანია არიან. ახლა შენ ისიც იფიქრე რამდენი ჩემისთანასთან ექნებათ მიწერილი ეგ „люблю, приходи да твоя“.

— მე მაგაზე არ გეწინააღმდეგები, მაგრამ ჯერ ეგ ერთი, რომ მაგით შენ იმას ვერ დაამტკიცებ, ვითომ ქალი მხოლოდ ენებათა ღელვის დასაკმაყოფილებლად იყოს გაჩენილი; მეორეც — მართალია არიან მაგისთანა ანიჩკა, ზენიჩკა, მარუსიები, მაგრამ ეგ იმას ხომ არ ნიშნავს, ყველა მაგათ ჰგვანდეს. რამდენია იმის მაგალითი, რომ ქალს პატიოსნების დასაცველად მხეც მოძალადესთვის თავი ზედ შეეკლას, ანუ უმანკოება მოტაცებულს სიცოცხლისთვის სიკვდილი ემჯობინებინოს. შორს არ წავალ, ამ ცოტა ხნის ნამდვილ ამბავს გიამბობ. ე — რ სა — ში ერთი ბიძაშვილი მყვანდა, ნინო, მგონი შენც იცნობდი, ის უბედური ვილაც გიმნაზიელს მოეტყუებინა და აი ჯერ თვენახევარიც არ არის რაც მტკვარში გადავარდა.

— სულელი ყოფილა! — მაჯაზე გაკეთებულ საათს დახედა და წამოიღო.

— Уже половина двѣнадцатаго, такъ, что მე უნდა წავიდე. До свиданья...

ამ სიტყვებით ჩამომართვა ხელი და გასწია...

სულ ერთი საათი არ გავიდოდა მას შემდეგ, რაც შალვა წავიდა, რომ ლოგინზე მის უბის წიგნი ენახე. აქ დარჩენოდა. ავიღე, გადავშალე და იმ წერილებთან ერთად, რომლებიც მე წამაკითხა, კონვერტით რამდენიმე ქართული წერილი მომხვდა.

— უბედურ ნინოს ნაწერი. — წამოვიძახე გამწარებულმა. ოხ! ნუ თუ ეს მტარვალნი იყო მიზეზი მის უბედურებისა. კიდევ იმიტომ წავიდა ისე მალე იმ უბედურის ხსენებაზე. წერილები რიგზედ ელაგა და მეც მიყოლებით დაუწყე კითხვა.

„შალვა! მაპატიე რომ გუშინ ვერ მოველ დანიშნულ ალაგას. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ნუ დამემღურები. ნინო.“

2 აპრილი

„ჩემო ძვირფასო შალიკო! მივიღე შენი წერილი. ოხ! გენაცვალე, რომ იცოდე რამდენი ვკოცნე! ჩემო სიცოცხლე, ნუ თუ დარწმუნებული არა ხარ ჩემ სიყვარულზე? მიყვარხარ გენაცვალე, მიყვარხარ! შენი წერილი უბეში შევიწახე. ეხლაც ამან გამომადვილა. ჩვენებს სძინავთ. ამ წერილს ლოგინში ვწერ მთვარის შუქზე თანაც შენ წერილს ვკოცნი, რაღა მოგწერო. მშვიდობით ჩემო სულის დგმავ, ჩემო სიცოცხლე, მშვიდობით! გადაგეხვევი და გადაგკოცნი იმდენჯერ რამდენი ვარსკვლავიც ეხლა ცაზეა. ხვალ გელი თვატრში. კუბოს ფიცრამდე შენი ნინო.“

15 მაისი, ღამის 2 საათი

„ჩემო ძვირფასო შალიკო, რა არი გენაცვალე, რომ შენი ნახვა დამანატრულე. ეს მესამედ მომატყუე. თითქოს მოხვიდოდი? გენაცვალე, წუხელ სიზმარში ერთ მშვენიერ ბაღში ვიყავით და ტბის პირად ვისხედით. მთვარიანი ღამე იყო და იქაურობა თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა. მე ჟინიანად გკოცნიდი, შენ კი რაღაც დაღვრემილი მიყუ-

რებდი. გამომედვიძა. ბალიშს ჩავკროდი. აღარ დამძინა. ვფიქრობდი იქნება მართლა ვაწყენინე რამე მეთქი. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ რა ვქნა გენაცვალე, ვერა მოვიფიქრე რა. იქნებ ის გეწყინა, რომ სამხედროში შესვლა დაგიშალე? აქ მგონი საწყენი არა არის რა. ნუ თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიან? თუ შენს თავს მომტაცებენ, მე რაღად მიწადა სიცოცხლე. არ ვიცი, ჩემო სიცოცხლე, რა ვქნა სულ შენს ფიქრში ვარ. გენაცვალე, რომ იცოდე თუ როგორ მწყურთან შენთან ლაპარაკი იმედია უტკველად მნახავდი. მშვიდობით, გენაცვალე, მშვიდობით! ხვალ საღამოთი გელი თქვენ გიმნაზიასთან. იმედია მნახავ. თიბათვის ნ. შენი ნინო.“

„შალიკო! არ ვიცი რას მივაწერო შენი ასეთი ქცევა. წინათ თუ ერთი წამი არ შაგეძლო უჩემოდ გაგეძლო, ახლა თვალსაც მარიდებ. გუშინ გახსოვს ერთ ვიღაც გიმნაზიელ ქალს რომ დასდევდი? გახსოვს ჩვენ ე—ებს რომ დასცინოდით? მე უკან მოგდევდით და თქვენ ლაპარაკს ყური მოვკარ. შენ დამინახე კიდევ მაგრამ იმ წამსვე თვალი მომარიდე. ოხ! ნეტა ვიცოდე რას ნიშნავს ეს! ნუ თუ ეს იყო შენი სიყვარული? შენგან ამას არ მოველოდი. ნინო.“

27 თიბათვე

„გავიგე შენი სამხედროში შესვლა შენ ხომ აღარაფერს მაგებინებ, გრცხვენოდეს. როგორც გავიკე მგონი გიორგობისთვის 13-ში გამოუშვებენო. თუ მანამდის დარდი გაუძელ, მაშინ მაინც მნახე.“

13 ენკენისთვე

„შალიკო. მე ამას არ მოველოდი შენგან. ნუ თუ მარტო ეგა ხარ? ეგ იყო შენი წრფელი სიყვარული? თუ ესე მალე მოგბეზრდებოდი რად მატყუებდი? გახსოვს 16 მაისის ღამე? აბა მოვიფიქრე იმ ღამეს რომ მითხარი „ვერ წარმომიდგენია უშენოდ სიცოცხლე“-ო. ნუ თუ მარტო იმიტომ მეუბნებოდი იმ სიტყვებს, რომ ჩემი ხორციით დამტკბარიყავ? ეგ იყო შენი სიყვარული? მხეცურ ჟინის მოკვლა და შემდეგ ხელის კვრა. გრცხვენოდეს... გრცხვენოდეს. მეტს არას გეტყვი. განა არა

„იმ“ ღამეს „იქიდან“ რომ მოვდიოდი, მე სიარული რომ ველარ შევქეღ... ეტლში, რომ ჩამსვი—მე რაღაც შეგატყე. იმ ათიოდე წუთის წინ თუ მეკვროდი, თუ ზედ მადნებოდი, მაშინ ხმასაც აღარ მცემდი. გახსოვს გამომშვიდობების დროს ზედაც აღარ შემომხედე. ან კი რაღა გინდოდა. ხომ დასტკბი ჩემი ხორციით და... მე კი ის ღამე ტირილით გავათენე. მას შემდეგ სირცხვილით გარედ ველარ გამოვდიოდი—მეგონა თუ ყველამ იცოდა ჩემი (აქ წერილში წინწყლები ისხდა). მას შემდეგ მე უბედური ასე შეუშინე-ვლად ვქცნებოდი. შენ კი ნახვის ღირსსაც კი აღარ მხდიდი. ეხლა? ნუ თუ არავითარ სიბრაულულს მაინც არ გამოიწვევს შენში შენგან მჩვრად ქცეული ადამიანი?... მაგრამ... მგონი თავიც მოგაწყენე. შენ ინეტარე... მე კი სასიცოცხლო აღარ ვარ... ჩემ მშობლებსაც შეუტყვიათ... სანამ ამ წერილს მიიღებდე, მე უკვე მტკვრის ტალღებში განუტყვებ ტანჯულ სულს. საუკუნოდ მშვიდობით და ეს იცოდე ჩემგან, რომ ვერაფერი ვაქაცობაა უმანკოს მოტყუება და მის წრფელ სიყვარულზედ სიცილი. შენგან გაუბედურებული.“

გავათავე. მწარე სევდამ მომიცვა. თვალ-ცრემლიანმა ესლა წავილულულე: ოხ! ნუ თუ ჩემ სამშობლოს ასეთი შვილებიც უნდა წარმოეშვა?! მაგრამ... ვაი, რომ ცუდი დროა ცუდი შვილების წარმომშობი ყოფილა!..

ს. კაენიშვილი



სახალხო სახლში 9/III წრემ, პირველად წარმოადგინა ლანგმანის მ მოქ. დრ. „ბარტელ ტურაზერი“. პიესა მეტად მოსაწყენია და სუსტიც. ამ ნაირ შაბებქილებას პიესისას, აძლიერებდნენ აღმსრულებელნიც... სიცოცხლის შეტანა შეეძლო მხოლოდ ალ. იმედაშვილს, მეტადრე ბოლო მოქმედებაში. მაგრამ „ოტელოს“ ამსრულებელიც თავ თავის ქერქში ვერ გრძნობდა. კარგი იყო ნ. მკვდლიშვილი ბარტლომეს

(ტურაზურის შვილი) როლში. ბავშვური გრძობა, სიცოცხლე და სიმკვირცხლე არჩევდა მას, სხვა მოთამაშეთაგან. არა უშვებდა ალ. მეტრეველს. საერთოდ, პიესა, ვერ „ასარულეს“ სიტყვის სწორე მნიშვნელობით. ეს მიტომ რომ მოთამაშეთა შორის ბევრი იყვნენ ეგრედწოდებულნი „მეორე და მესამე ხარისხოვანი“ მოთამაშენი. ჩვენ სცენას კი იგინი არა ჰყავს გაწვრთნილნი კარგად, და ეს არის მიზეზი რომ თავიანთი უსიცოცხლოდით, მოუხეშაობით და საქმის არ ცოდნით აძლიერებდენ პიესის უშინაარსობას. წარმოდგენა გათავდა ღამის 12 ს. გოგლა

დ. ხაშუში შბათს, 12/III, ადგ ღრამ. წრის გამგეობამ, ჯაფარაშვილის შენობაში, წარმოადგინა კოსოვოროტოვის ღრამა 4 მოქ. „გაზაფხულის ნიაღვარი“. ასეთი შინაარსიანი და მწყობრად ჩატარებული პიესა ხაშურის საზოგადოებას კარგა ხანია არ უნახავს. რეჟისორობდა ბ-ნი ნ. სიხარულიძე. პიესის უმთავრეს გმირის როლს (სერგეი) ასრულებდა ბ-ნი გ. ნაკაშიძე. ეს სცენის მოყვარე პირველად გამოვიდა აქაურ სცენაზე და თვისი დაკვირვებული თამაშით გვიჩვენა რომ იგი დიდ ძალას წარმოადგენს. სერგეის რთული როლი საუცხოვოდ განასახიერა. მას მხარს უმშვენებდა ქ-ნი იონისიანი (ესეც, თუ არ ვსცდები, პირველად გამოვიდა ხაშურის სცენაზე), რომელმაც შეგნებულად შეასრულა ნატაშას როლი. ქ-ნი ქ. კალაძე (ვარინკა), როგორც ყოველთვის, საუცხოვო იყო. ბ-ნი ალ. ქუთათელაძე (ბორის) მშვენიერი იყო. კარგები იყვნენ: ბ-ნი მ. ლაზარევი (ვალდია), ქ-ნი ნ. კოკელიძე და ბ-ნი მ. კვალაშვილი. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. საერთოდ პიესას გამოცდილი რეჟისორის ხელი ეტყობოდა. ხალხი საკმაოდ დაესწრო. იმედია, გამგეობა, ასეთ წარმოდგენის შემდეგ, შთაბეჭდილების შესანარუნებლად აგვაცდენს უშინაარსო და მობეზრებულ ვოდვეილებს.

წარმოდგენა ძალიან გვიან (9¹/₂ ს.) დაიწყო და გვიანაც (1¹/₄ ს.) გაათავეს. კაკალი

წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი

◆ **ქარ. ღრამ. საზ-გის სასარგებლოდ** დღეს, კვირას 20 მარტს; „ახალი კლუბის“ დარბაზში ფრიალ საყურადღებო სადამო იმართება კნ. ვ. ი. ერისთავის დიასახლისობით. სადამოში ცნობილი და ნიჭიერი ძალნი იღებენ მონაწილეობას.

◆ **ბარდაცივალა** ბაქოს სცენის მოყვარე ალ. პავლიაშვილი.

◆ **ა. სუშუბათაშვილი-იუშინი**, ჩვენი თანამემამულე, სახელგანთქმული დრამატურგ-მსახიობი, როგორც გავიგეთ, სააღდკომოდ გვეწვევა. სხვათა შორის, იგი ითამაშებს სახაზინო თეატრის სცენაზე პოლონსკის დასში. იმედია, ჩვენი საზოგადოება ჩვეულებრივ თანაგრძობას გამოიჩენს და ღირსეულად შეხვდება

ძვირფას სტუმარს. სუშუბათაშვილი კარგა ხანია რაც თავის სამშობლოში არა ყოფილა,

◆ **ალ. ჟაზგამის** მოთხრობა „ციცია“ გ. მარტიუბოვმა პიესად გადმოაკეთა. პიესას ეწოდება „გაოხრებული ოჯახი“, 5 მოქ. 12 სურ. პიესა უკვე ნებადართულია წარმოსადგენად.

◆ **სახალხო სიტყვიერების** შემკრები ანეტა კაპანაძის კვლავ განაგრძობს ანდაზა-ზღაპარ-ლექსთა შეკრებასა და ამ მოკლე ხანში გამოყენას მართავს, რომლის შემოსავლით ჰსურს ანბანები და სხვა სახალხო წიგნაკები შეიძინოს ხალხში გასავრცელებლად.

◆ **მ. ბარბიკის პიესა** „მოლიპულ გზაზე“ სცენაზე წარმოსადგენად, აეტორის ნებადართველად, აკრძალულია.

◆ **საქუთაირი აუდიტორიის** ასაშენებლად ავლავ. ქართ. წრის გამგეობამ დაადგინა: ყოველ წარმოდგენის შემოსავლიდან გადაიღოს 10% ძირითად თანხად, უძრავი მამულის შესაქენად.

◆ **რეჟის ალ. წუწუნავა** ავლაბრის ქართ. სახ. წარმ. მმართველი წრის გამგეობამ საგაზაფხულო სეზონისათვის რეჟისორად მიიწვია. ა. წუწუნავა, სხვათა შორის, უსასყიდლოთ წაიკითხავს სცენის მოყვარეთათვის სისტემატიურად ლექციებს: მიმიკის, პლასტიკის, გრიმის და ხელოვნების შესახებ.

◆ **ავლაბრის თეატრ-პალასში**, დღეს, 20 მარტს, მსახიობთა ალ. იმედაშვილის, ქ.ქ. ან. ქიქოძის, ბეჟანიშვილის, ბ. კორიშელის და გომელაურის მონაწილეობით, სახ. წარმ. მმართველი წრის მიერ, წარმოდგენილი იქმნება შექსპირის „ოტელო“.

◆ **ლანჩხუთში ახალგაზდა მწერლის** ს. ერთაწმინდელის პატივსაცემლად 28 მარტს საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენილი იქნება მისი პიესა „ლურჯი ხალათი“, კ. ჟღენტი წაიკითხავს რეჟერატს ს. ერთაწმინდელის შესახებ, და ახალგაზდა მგონები წარმოსთქვავენ ლექსებს.

◆ **ნაძალადევის თეატრში** დღეს ს. გოგაშვილის რეჟისორობით—„მსხვერპლი“ და „მთიკო“.

◆ **ბაქოში** დღეს, 20 მარტს იმართება ელ. ჩერქეზიშვილის დღესასწაული.

◆ **არმაზირში** შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, თცამდე სცენის მოყვარის მონაწილეობით. ეს წრე 20 მარტს „ახალ თეატრში“ წარმოდგენს „უჩაღი არსენა“-ს. შემდეგი წარმოდგენა—კვირაცხოვლობას „გატრუებული იმედი“.

ვ მ ს ტ ა

ბორჩხა, ა. გ.—ქეს. გმადლობთ გამოგზავნილი მასალისთვის. თავის დროზე დაიბეჭდება.

ოზოლს, გვაცნობეთ თქვენი მისამართი.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

უკვე იბეჭდება
ვეველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

რუსო სიძუპათა სრული ლექსიკონი

ახუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესწავილი-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიღე-ჭული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებშივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილი-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნილ ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება; ხელის მოწერის ღრს 1 მან., დანარჩენი—წიგნი გამოსვლის ეამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან. 50 კა.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“ -ს სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

უკველკვირეული სათეატრო, ხალიტრატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათმბიანი ჟურნალი იშეორისტული განყოფილებით, შარუებით და კარიკატურებით

წელიწადი
მართხა

„თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამოსვლისა მართხა

წლიურად
5 მან.
ნახ. წლ.
3 მან.

1916 წელსაც გამოვთ

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევე 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის ღრს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიღებს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1; ვორონკოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი

ავლაბარი თეატრი „კალასი“

საგზაფხულო სეზონი
წარმოდგენა № 1.

კვირას, 20 მარტს, ავლაბრ. ქართ. სახ. წარმ. შინაგ. წრის მიერ მსახიობთ: ალ. იმედაშვილის, ა. ქიქოძის, ს. ბეჟანიშვილისა და პ. კორიშელის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება პირველად ავლაბრის სცენაზე ტრეპიანი უ. შექსპირის ტრაგედია ნ მოქმედ. თარგმ. ივ. შ ჩაბლისა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი 30 კ. დან 1 მ. 50 კ. მდე. რადგანაც ზოგიერთნი მოტყუებით ხელსუ ჭეშ-დიან ბილეთებს, ამიტომ მატყუვებულ საზოგადოების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი წარმოდგენის ბილეთება გაყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

რეჟ. ალ. იმედაშვილი. მორ. გამგე ა. უმბრივი

ოსტელო

„ახალი კლუბი“

ერთი კვირის პროგრამა 20—27 მარტ.

კვირა—ქართ. დრამატ. საზოგადოებ. საღამო.

ორშაბათი—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.

სამშაბათი—საოპერეტო წარმოდგენა.

ოთხშაბათი—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკ.

პარასკე—ქართული წარმოდგენა (უფასოდ);

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენა და სინემატოგრაფ. საღ. 8 ს. **შესასვლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდინ: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცები 1—05 კ.

სახალხო სახლი

სამშაბათს, 29 მარტს ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ღ ა ლ ა ტ ი

დრ. ნ მოქ. ა. სუმბათაშვი. თარგ. გ. ყიფშიძისა ზენაზი—ნინო დავითაშვილი.

მონაწილეები: ქ-ნი: ქიქოძე, ბეჟანიშვილი,

ბ-ნი ვ. გუნია, გომელაური ზ., თარალაშვილი ი., კორიშელი პ., იმედაშვილი ა., იშხელი გ., მამფორია ი., ჟივიძე ი. სარაული მ., ვარვარიძე ვ., ჩაგუნავა ნ.

ადგილების ფასი 15 კ.—1 მან. 50 კ-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ანდრეიკაშვილი

სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т. Полумордвиновъ.

Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ,

режис. и представл. на сцен. Навк. Края, и. Орлов.

Тифлисъ Цензурный Комитетъ

სახალხო სახლი

დილით ხარამოვას, 25 მარტს. დილით 2 შეერთებული გუნდი 1, ქართველ მომღერალ-მგალობელთა და 2, ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა

პ. კვცხაძის ლოტბარობით

გამართავს

დიდ კონსერტს

ძმათა კაცსაძების (ტრიო), თ. ლუბარსაზ ჯანდიერის (სოლო-ფორმული), იოსებ საღირაშვილიმ (თარი). ვანო უსტიაშვილის (ფანდური), გიგო ბეჟანიშვილის, ვიორჯი ბეიაშვილის, ვასო ჩეკურაშვილის, ვანო დადანაშვილის და სხვათა მონაწილეობით.

ბილეთების ფასები 15 კ-დან 1 მ. 50 კ-დე; ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 ს. საღ. 6—8 საათამდე; დასაწყისი დილის 12 საათზე.

მორიგი წევრნი გამგეობისა: ი. ქარსელაძე, გ. პეტრიაშვილი და ი. დემეტრაშვილი.

ნაკალაძვის თეატრი

კვირას, 20 მარტს, 1916 წ.

ნაძალაძვის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

1 მსხვერპლი 2 მათიკო

დრ. ი. გუდუჩაიშვილისა კამ. ავ. ტაგარაძისა 1 და 2 მოქმედება. მე-3-ე მ.

მონაწილეობან: ქ-ნი: ბერძნიშვილი, ს. გოგაშვილისა, ქ. კამკამიძე; ბ-ნი: გ. გუდუჩაიშვილი, ვაბინაშვილი, კულუხაშვილი, სვანიძე, ს. გოგაშვილი, ძაძაძია, ლადოშვილი, კაციტაძე, შავიშვილი და სხ.

ადგილების ფასი: 20—40 კ. დასაწყ საღ. 8 ს. მორიგი გამგე ი. სუხაშვილი.

რეჟისორი ს. გოგაშვილი.

Донешлено Военной Цензурой съименъ „სორიან“